პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 24 სექტემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

216 (914) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტ

## ვემზადოთ ახალ გაწვევისათვის.

### გავაძლიეროთ სწავლება

შევბულებაში მიმავალი წითელ-არმიელები გავაცილეთ. ეხლა საჭიროა გამალებით ვემზადოთ ახალ წვეულების მოსვლისათვის და მხნედ შეუდგეთ საზამთრო სწავლებას.

სოფლად მუშაობისათვის მზადებამ ერთგვარი კვალი დააჩინა ჩვენი ნაწილების ცხოვრებას. სოფლის საკითხებმა ასე ვსთქვათ დროებით დაჩრდილეს სამხედრო და პოლიტიკური სწავლების ამოცანები. ეს კი რასაკვირველია დიდ უარყოფით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ვინც წასასვლელი იყო ამ ჟამად ისინი უკვე წავიდენ. ვინც დარჩა წითელ ჯარში მან კარგად იცის თავისი გაშვების ვადა. ამიტომ საჭიროა დარჩენილ წითელ-არმიელებმა მტკიცედ შეუდგენ სამხედრო სწავლებას, უფრო მეტად აღამაღლონ დისციპლინა თავის რიგებში და თუ იყო რაიმე ნაკლი ამ მხრივ დაუყონებლივ გამოასწორონ.

ყოვლად დაუშვებელია, რომ დარჩენილებმა იფიქრონ მხოლოდ სოფელზე და შეასუსტონ სამხედრო მეცადინეობა. ასეთ განწყობილებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს თვით წითელ მოლაშქრეების მიერ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მალე მოვა ახალი შეკრება. დარჩენილი წითელ-არმიელები მათთვის სამხედრო დისციპლინის და წითელი მეომრის საუკეთესო მაგალითები უნდა იყვნენ. ახალგაზრდა წითელ არმიელის სამხედრო მომზადება და მისი აღზრდა იმდენათ უფრო ნაყოფიერი იქნება, რამდენათ ძველი წითელ არმიელები მტკიცე დამცველი იქნებიან სამხედრო დისციპლინის, და მუყაითი და გულმოდგინე სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებაში.

ამრიგად ძველმა წითელ მოლაშქრემ თავისი მაგალითით უნდა აღზარდოს ახალი ამხანაგი და თავიდანვე შეაჩვიოს ის დისციპლინიანობას და ენერგიულ ბეჯით მეცადინეობას.

ამასთანავე დარჩენილ წითელ არმიელს მუდამ უნდა ახსოვდეს ის, რომ წითელ ჯარში ყოფნის დრო მან რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერებით უნდა გამოიყენოს სამხედრო მომზადებისათვის. მან უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი ცოდნით წავიდეს სახლში.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი, თავგამოდებული მეცადინეობით.

ამრიგად დარჩენილებო, მხნედ განაგრძეთ სამხედრო სწავლება, გაასკეცებული ენერგიით შეუდგით წითელი ჯარის გამაგრებას და განმტკიცებას, გააძლიერეთ დისციპლინა.

ყოველგვარ ზარმაცობას და გულგრილობას სასტიკი ომი უნდა გამოეცხადოს და ძირბუდიანად უნდა იქმნას აღმოფხვრილი ჩვენ სინამდვილიდან.

ვემზადოთ ახალი ძალების შესახვედრად.

გაასკეცებული ენერგიით განვაგრძოთ სწავლება.

## ჩინეთის რეაქციის თარეში.

ჩინეთის რეაქცია განაგრძობს თავის შეტევას რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. კონტრრევოლიუციონური ღენერლები დაუზოგველად ებრძვიან გაფიცულ მუშებს. როგორც ვიცით ტიანძინში მათ კიდეც დახვრიტეს რამოდენიმე ათეული გაფიცული მუშა. მაგრამ რეაქციონერები უფრო შორს წავიდენ. მათ შანხაიში დაარბიეს მუშათა პროფესიონალური კავშირები და აკრძალეს მათი არსებობა. ამით ჩინეთის კონტრ-რევოლიუციამ ხელიდან გამოაცალა მუშათა კლასს ბრძოლის უმთავრესი იარაღი. როგორც ვიცით ჩინეთის პროფკავშირებმა უდიდესი როლი ითამაშეს მომხდარ უკანასკნელ თვეების ამბებში.

ისინი იყვნენ ფაქტიური ხელმძღვანელი საგაფიცვო მოძრაობის და მტკიცედ იცავდენ გაფიცულ მუშების ინტერესებს. ამიტომაც იყო რომ პროფსაბჭომ დაიმსახურა ასეთი სიძულვილი ჩინეთის რეაქციონერებისა და მათ მოსარჩლე უცხოელ იმპერიალისტების მხრივ.

რეაქციონერები თავის საზიზღარ მოქმედებას ხსნიან მით, რომ თითქოს პროფკავშირების საბჭო ხელს უშლიდა მუშაობის დაწყებას ინგლისელების წარმოებებში. აქ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი.

პროფკავშირების საბჭო მტკიცედ იცავდა მუშების მოთხოვნილებებს და არ სწყვეტდა გაფიცვას. ინგლისელებს კი არ სურდათ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მოწადინებული იყვნენ გაფიცვა შეეწყვიტათ. ამ მიზნით მათ უბრძანებს თავის ყურ მოჭრილ მონებს ჩინეთის რეაქციონურ ღენერლებს და ძალით გაარეკიეს პროფკავშირების საბჭო. ამნაირად ჩინეთის რეაქც. ღენერლების საშუალებით უცხოელი იმპერიალიზმი, განსაკუთრებით ინგლისი კვლავ აღრჩობს ჩინეთის მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას და აპირებს სამუდამოთ განამტკიცოს იქ თავისი ბატონობა.

მაგრამ დიდათ საეჭვოა რომ მან მიაღწიოს თავის მიზანს. ჩინეთის ხალხის მოთმინების ფიალა ავსო.

მას სწყურია თავისუფლება და უცხოელ ბატონების კლანჭებისაგან თავის დაღწევა. იმპერიალისტების სასტიკი იერიშები არამც თუ არ ჩაკლავენ ამ წყურვილს პირიქით უფრო გააძლიერებენ მას.

ახალგაზრდა ჩინეთის პროლეტარიატი სწრაფად შლის თავის რევოლიუციონურ ფრთებს. ის იზრდება ყოველდღიურად, ყოველ საათში. დღეს თუ არა ხვალ ან ზეგ ის მაინც იტყვის თავის სიტყვას.

რევოლიუციონური ბრძოლის წითელი დროშის ქვეშ ის შესძლებს მთელი ჩინეთის მშრომელთა მასების დარაზმვას და უცხოელ და შინაურ მოძალადეებთან უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში მათ წაყვანას.

დეე დღეს იზეიმოს ჩინეთის რეაქციამ! მას სიხარულისათვის დიდი დრო არ დარჩენია! სულ ერთია, ისტორიულ ხვალ თავისუფალ ჩინეთის რევოლიუციონური პროლეტარიატს ეკუთვნის!

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის მუშათა მოძრაობა

### ქ. შანხაის პროფკავშირთა განადგურება.

22 სექტემბერს შანხაის პოლიციამ დახურა 16 პროფკავშირი. მუშათა უბნებში შესდგა საპროტესტო მიტინგები, რომლებიც პოლიციის მიერ გარეკილი იქმნა. მუშებმა საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეს პეკინის მთავრობას. დემოკრატიული წრეები მილიტარისტების მოქმედებით აღშფოთებული არიან.

### ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციის მოწოდება.

ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციამ მოწოდებით მიმართა პროფინტერნს, ს. რ. პ. ც. ს., ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს და ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო ფედერაციას.

მოწოდებაში ნათქვამია: „ქ. შანხაიში მუშების ინგლისელ პოლიციის მიერ 7 სექტემბრის დახვრეტის შემდეგ, გაფიცვების ძალით ჩაქრობის ჩანძოლინის გენერლების მიერ კაილანში, მილიტარისტებმა ჩინეთის მუშათა მოძრაობის გულს ჩასცეს მახვილი, ძალით გარეკენ შანხაის პროფკავშირთა საბჭო, რომელიც აერთიანებდა 200.000 ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებს".

ფედერაცია მოუწოდებს ზევით აღნიშნულ ორგანიზაციებს მიიღოს წინასწარი ზომები ჩინეთის მუშათა მოძრაობის განადგურებისაგან გადასარჩენად.

### შეტევა ქ. კანტონზე.

პეკინში მიღებულ ცნობით, ქ. გონკონგის ვაჭრების მიერ დაქირავებული ჩშენ—დზიუამში შეუდგა 20.000 კაცისაგან შემდგარ არმიის შედგენას, რომლით მან უნდა გაილაშქროს ქ. კანტონზე (კანტონი გომინდანელთა ხელშია.)

## მდგომარეობის გართულება მოსულში.

### „აქაც მოსკოვის ხელია".

ლონდონის წრეები, რომლებიც ოფიციალურ წყაროებით სარგებლობენ, აცხადებენ, რომ მოსულში მდგომარეობის გართულება მით აიხსნება, რომ ოსმალები „სხვა უცნობ გარეშე ძალთა გავლენის ქვეშ იმყოფებიანო".

ამ ძალებს შორის „უეჭველად მოსკოველიც არის, რომელიც ბრიტანეთის საწინააღმდეგოთ აწარმოებს და ფინანსიურ დახმარებასაც უწევს ოსმალოებს".

ესევე წყაროები აღნიშნავენ, რომ მოსულში კიდევ სხვა გავლენა უფრო ცუდათ მოქმედობს, ვიდრე მოსკოვი.

თუმცა ინგლისის მთავრობა უხვად დაპირდა საფრანგეთს, ამერიკას, იტალიას დიდი წილი მოსულის ნავთის წარმოებაში, მაგრამ დაინტერესებული კომპანიები ასეთ განაწილებას არ სთვლიან სამართლიანად და ყოველ ღონეს ხმარობენ ოსმალეთის წინააღმდეგობა გააძლიერონ რათა საშუალება მიეცეს ნავთის კონცესიების პირდაპირი ანგარიში მთავრობიდან აიღონ.

## ინგლისელებს საფრთხე მოელით პალესტინაში.

სირიაში მომხდარ აჯანყების გამო ინგლისელებმა ბრძანება გასცეს პალესტინის ყველა სოფლებში ჩხრეკის მოსახდენათ. ჩხრეკის დროს ინგლისელები იჩენდნენ დიდ სისასტიკეს. ამის გამო არაბებმა გამოსთქვეს თავიანთი უკმაყოფილება, მაგრამ მათ საჩივრებს არავინ არ მიაქცია ყურადღება.

## ფრანგები რეპრესიებს აძლიერებენ სირიაში.

ქ. ბეირუტში სისრულეში მოიყვანეს სიკვდილის განაჩენი 11 არაბზე, რომლებსაც, თითქოს ბრალდებოდათ ორი ფრანგი ოფიცრის მკვლელობა. საფრანგეთის მმართველობამ სირიაში ცნობილი ფრანგების მომხრე გალილბეი დანიშნა იუსტიციის მინისტრად რომელიც გააძლიერებს რეპრესიებს (დევნას) რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ.

## იტალიის კომუნისტები დაშვებული არ იქნებიან შეერთებულ შტატებში (ამერიკაში)

იმ ცნობის გამო, რომ იტალიის დელეგაციის, რომელიც მიემგზავრება ამერიკაში საერთაშორისო საპარლამენტო კავშირის კონფერენციაზე, შემადგენლობაში შედიან კომუნისტები, ვაშინგტონის შრომის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ეს კომუნისტები დაშვებულნი არ იქნებიან ამერიკაში ისე, როგორც საკლატვალო, თუ გამოირკვევა რომ ისინი შედიან დელეგაციაში.

# ფაშიზმის სამეფოში.

## კომუნისტებს სდევნიან იტალიაში

პალერმოში დააპატიმრეს კომუნისტურ გაზეთ „უნიტა“-ს თანამშრომლები. ბარში დაპატიმრებულია რვა კომუნისტი. მილანში დაპატიმრებულია ერთი პროფკავშირის უჯრედის ყველა წევრები. რომში გაჩხრიკეს 234 ბინა, დაპატიმრებულია 158 კომუნისტი.

## ტატარბუნარის პროცესი.

ბესარაბიის გლეხების პროცესზე კიშინიოვში დასრულდა საბრალმდებლო ოქმის რუსულად თარგმნა. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს საქმის სამხედრო სასამართლოში გადაცემის გამო, რადგან ეს საქმე არ ეკუთვნის სამხედრო სასამართლოს, ვინაიდან აჯანყების დროს არ იყო გამოცხადებული საალყო წესები. სასამართლომ უარყო დამცველების შუამდგომლობა.

## ფინეთის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

თანახმად მოსკოვში მიღებულ ცნობისა, ფინეთის მუშათა ორგანიზაციებმა აირჩიეს 15 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია საბჭოთა კავშირში გასაგზავნათ. დელეგაციის წევრთა უმრავლესობა შესდგება უპარტიო მუშებისაგან და პროფკავშირების აქტიურ მუშაკებისაგან.

## სპარსელი შახის დაბრუნება თეირანში.

სპარსეთის შახი, ევროპაში ორი წლის მოგზაურობის შემდეგ ბრუნდება თეირანში. შახის სპარსეთიდან წასვლის შემდეგ სპარსეთის საზოგადოებრივი აზრი მომწიფდა რესპუბლიკანური წეს-წყობილების დამყარების სასარგებლოთ.

## ბინის ქირის გადაუხდელთა ლიგა

ლონდონის მახლობლად, ვესტგეიმში, მუშებმა შექმნეს ლიგა, რომლის მიზანია ბინის ქირა არ გადაიხადონ. ლიგაში შედიან უმუშევარნი. ბინის ქირას არ გადაიხდიან მანამ, სანამ ვესტგეიმის მზრუნველობა (მუნიციპალური ორგანიზაცია) არ დააკმაყოფილებს უმუშევრებს ფულით, ნაცვლად ტალონებისა, რომელთაც ისინი ღებულობენ მაღაზიებიდან საქონლის გამოსატანათ.

## რუმინეთის მინისტრი დუკა რუმინეთ—საბჭოთა კავშირის დაახლოვების შესახებ.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკამ უცხოელ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ დნესტრზე იშვიათი შეტაკებების და პროპაგანდის საკითხის გამოკლებით, საბჭოთა კავშირის და რუმინეთის შორის დამოკიდებულება საერთოდ კარგია.

დუკამ უარყო ის ხმები, თითქოს საფრანგეთ და რუმინეთ შორის სამხედრო შეთანხმება მომხდარიყოს უნგრეთის წინაამდეგ.

# საბჭოთა კავშირში

## კანონი სავალდებულო სამხედრო ბეგარის შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცაკმა დაამტკიცა კანონპროექტი სავალდებულო სამხედრო ბეგარის შესახებ.

კანონ-პროექტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დაცვა, არა თუ საპატიო უფლებაა ყველა მშრომელისათვის, არამედ იგი მათი მოვალეობაცაა. ამ უფლებით ვერ ისარგებლებენ არამშრომელი ელემენტები და ისენი, ვინც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას და რომელნიც მშვიდობიანობის დროს ჯარიმდებიან სპეციალური სამხედრო გადასახადებით.

კანონ-პროექტი ადასტურებს სამხედრო საქმის შესწავლისათვის გამოსადეგი გაწვევას 19 წლიდან 40 წლამდე. სამხედრო ბეგარის ვალდებულნი საყაზარმო ცხოვრებას ეწევიან 2 წელიწადი ქვეითები, 3 წელიწადი სპეციალურ ნაწილებში და 4 წელი ფლოტელები.

კანონ-პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე არმიის უფშემადგენლობის მდგომარეობა და სხვა.

# არტილერიის და ქვეითა ჯარის ურთიერთობა.

ტერიტორიალურ შეკრების მეორე ნახევარის დროს ცვალებადელნი გაივლიან მთელრიგ მეცადინეობისას ჯარის სხვა გვარის იარაღებთან ერთად. ამიტომ, ყოველი ქვეითა ტერარმიელი კარგათ უნდა იცნობდეს არტილერიის დანიშნულებას, და პირიქით, არტილერისტიც კარგათ უნდა იცნობდეს თავის მებრძოლ ამხანაგს—ქვეითა არმიელს.

ქვეითა ჯარი და არტილერია ყოველგან და ყოველთვის ომში ერთიმეორეზე დაუშორებლივ მუშაობენ. იმათ ერთი საზრუნავი აქვთ დაეხმარონ ერთიმეორეს. ბრძოლის სიმძიმე სავსებით ქვეითა ჯარს აწევს: ბრძოლის დაწყებიდან დასრულებამდე ქვეითა არმიელი წინ წინ იმყოფება. წინსვლით და მიზანშეწონილ ცეცხლით ქვეითა ჯარი ცდილობს უპირატესობა იქონიოს მოწინააღმდეგეზე. მას უწევს პირველ თავდასხმის მოგერიება, და, მეტ დანაკლისს ნახავს ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილი. გამაგრებული მოწინააღმდეგე, რომელიც იგერიებს, ნებას არ მისცემს დაუსჯელად დაახლოვებისას. მისი არტილერია და ტყვიამფრქვევები შეეცდებიან შეაკავონ ჩვენი ქვეითა ჯარი. და სწორედ, ამ დროს მას უნდა მიეშველოს ჩვენმა არტილერიამ. თავის ცეცხლის სიძლიერით, გასროლის მიზანში მორტყმით და სიშორით, მან ყუმბარები უნდა დაუშინოს იმ ადგილებს, სადაც ჩასაფრებულია მოწინააღმდეგის ქვეითა ჯარი და ტყვიამფრქვევები. ჩვენი ქვეითა ჯარი მაშინვე იწევს წინ. ძნელი დასაჯერებელია, რომ არტილერიამ შესძლოს მოწინააღმდეგის გაჩუმება მთელ რაიონის მანძილზე. მაგრამ მისი ტყვიამფრქვევების ნაწილი გაჩუმებული იქნება, ნაწილიც თვით ქვეითა ჯარმა უნდა ჩააჩუმოს. ეს უკვე მდგომარეობის შემსუბუქებაა. ქვეითა ჯარმა ასეთი მომენტებით უნდა ისარგებლოს და ნახტომი გააკეთოს წინ. ასეთი დახმარება არტილერიას შეუძლია გაუკეთოს ქვეითა ჯარს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორს იარსებებს განუწყვეტელი კავშირი. ყოველჟამს შეუძლია არტილერიას სრულიად მოსპოს ან შეასუსტოს წინააღმდეგობის უნარი რომელიმე დაბრკოლებისა, რომელიც ხელს უშლის ქვეითა ჯარის წინსვლას. არტილერია თავის გამანადგურებელ ცეცხლით გზას უკაფავს ქვეითა ჯარს. ერთი სიტყვით, არტილერია ბრძოლის ყველა პირობებში საუკეთესო მეგობარია ქვეითა ჯარის.

მაგრამ რა უნდა გააკეთოს ქვეითა ჯარმა არტილერიისათვის?

ჩვენ ვიცით, რომ არტილერია მაშინაა ძლიერი, როდესაც ის მზადაა ბრძოლისათვის, ე. ი. დაიკავებს შესაფერ პოზიციებს. ამ შემთხვევაში, მას შეუძლია კავალერიის და ქვეითა ჯარის იერიში მოიგერიოს პირდაპირ სროლით, თუ იერიში ფრონტიდანაა, მაგრამ თუ იერიში ფლანგიდან ან ზურგიდან დარჩა, მაშინ არტილერია ვერ მოასწრებს თავის იარაღების შემოტრიალებას და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდება. ასეთივე მდგომარეობაშია არტილერია ლაშქრობის და დასვენების დროს. ამიტომ, ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია თავდასხმა, არტილერიას ქვეითა ჯარი იცავს. ის საჭიროებს არა თუ დაცვას, არამედ დახმარებასაც, როდესაც მთიან და ჭაობიან ადგილებში ცხენებს გაუჭირდებათ ზარბაზნების გატანა. ამ რიგად, არტილერიასა და ქვეითა ჯარს შორის უნდა იყოს ურთიერთ დახმარება, რაც უზრუნველყოფს ბრძოლის გამარჯვებას.

პრ.

# სამხედრო საქმე

## შენიღბვა ადგილმდებარეობასთან შეფარდებით.

წერილი მეექვსე.

ბრძოლის დროს თუ როგორ უნდა დაიფაროს თავი მსროლელმა ან როგორ უნდა აწარმოვოს სროლა საფარიდან, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდი წინა წერილებში აღნიშნული. ეხლა საჭიროა განხილვა იმისა, თუ რა სამსახურს გაუწევენ გადარბენის დროს მსროლელებს ცალ-ცალკე მოწყობილი საფრები. ერთის მხრივ, ასეთ საფრებს მსროლელი გამოიყენებს გადარბენის დროს იმაში, რომ ის მტრის მოთვალთვალის შეუმჩნევლად შესძლებს გადარბენის მოხდენას ტრიალ ან ნახევრად დაფარულ მინდორზე. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ამაღლებული საგნები ტრიალ მინდორზე შეუმჩნეველს ხდის მოძრაობას მტრისათვის. თუ რამდენად კარგად დაიფარავენ ასეთი ამაღლებული საგნები მსროლელს გადარბენის დროს ეს დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე: 1. ამ საგნების ერთმანეთის დამოკიდებულებისაგან, 2. იმ ადგილისაგან, სადაც იმყოფება მტრის მოთვალთვალე, 3. იმისაგან, თუ როგორ აწარმოებს გადარბენას მსროლელი (მთელი ტანით, მოღუნული, ხოხვით). მსროლელის მოძრაობისაგან არის დამოკიდებული მისი თავის კარგად დაფარვა მტრის თვალისაგან. ასე, მაგალითად, თუ ხოხვის დროს მსროლელს ფარავს დაბალი ბუჩქი, თავისთავად ცხადია, მთელი ტანით გადარბენის დროს მას დაფარავს მაღალი ბუჩქი.

იმ საგნების გარდა, რომლებიც მოწყობილია დაფარვის მიზნით მინდორზე, არიან აგრეთვე სხვა საგნები, რომლებიც შენიღბვის მიზნით შეიძლება გამოყენებულნი იქნენ საჭირების დროს. ასეთები არიან: ბოსტანი, მაღალი ნათესი, მაღალი ბალახი, ჩირგვიანი ადგილი და სხ. ასეთი ადგილების ფართედ გამოყენება შეიძლება რომ მსროლელი სრულიად იქნეს დაფარული მტრისაგან. მაგრამ ამასთან სახეში უნდა გვქონდეს შემდეგი; ყოველი მებრძოლის მოძრაობა საშუალებას აძლევს მტრის მოთვალთვალეს სწრაფად აღმოაჩინოს, ამისათვის საჭიროა მცენარეებით დაფარულ მინდორზე გადარბენის დროს უნდა ერიდოს ისეთ მოძრაობას, რომელიც შესამჩნევად გახდის მას მტრისათვის. შორ მანძილზე (1500 ნაბიჯი და მეტზე) მოძრაობის ასეთ დაფარულ ადგილებში მსროლელი ძალიან ცუდათ სჩანს, საშუალო მანძილზე (800 ნაბიჯი და მეტი) მსროლელის მოძრაობა უკეთ მოსჩანს, ახლო მანძილზე (200-800 ნაბიჯი) თავისუფლად შეიძლება მებრძოლის დანახვა, თუ გინდ რომ დაფარულ იყოს მაღალი მცენარეებით.

ყველა ზემო ჩამოთვლილ შემთხვევების გარდა, სახეში უნდა ქონდეს მსროლელს, რომ ყველა ეს საგნები მას არ იფარავენ ტყვიისაგან, ამიტომ ის უნდა ცდილობდეს, რომ ეს თავსაფრები მოიხმაროს ისე ფრთხილად, რომ რხევა არ იყოს მტრის მიერ შემჩნეული და მას ამოფარებული მსროლელი მიზანში ამოღებული.

ი. ბარ.

# წითელი არმიის და ფლოტის სახლის საქმიანობიდან.

პოლიტ-სამმართველოს ბრძანებით ყველა დიდ გარნიზონებში დაარსებულია წითელი არმიის და ფლოტის სახლები.

ასეთივე სახლი არსებობს ქალ. ტფილისშიაც, რომელიც გამაერთიანებელი ორგანიზაციაა პოლიტ-განათლების მუშაობისა გარნიზონში.

სახლთან არსებობს ქართული სექცია, რომელიც ნაციონალური ხაზით მუშაობს.

სექციამ სავსებით გაამართლა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ქართულ წითელ ლაშქრელებს სექციის ჩამოყალიბებამდის წარმოდგენაც არ ქონდათ, მათი „სახლის“ არსებობის შესახებ, დღეს კი ქართული ნაწილები სდგამენ აქ წარმოდგენა—საღამოებს და წითელი არმიელებიც იჩენენ თვითმოქმედებას და აქტივობას სკოლის გარეშე მუშაობაში.

ქართულ სექციასთან არსებობს იურიდიული ბიურო, რომელიც მუშაობს კვირაში ერთხელ შაბათობით, საღამოს 8—10 საათამდე; ეს ბიურო აძლევს სწორ და გადაჭრილ პასუხებს, ყველა სამხედრო მსახურთ, რომლებმაც სხვა და სხვა მიზეზების გამო ნაწილში ვერ დაკმაყოფილდენ საკონსულტაციო (რჩევითი) ბიუროს პასუხით.

მთლიანად სახლის აპარატი სამი დარგისაგან შესდგება: პარტპოლიტმუშაკის კაბინეტი, სამხატვრო—შემოქმედების დარგში—თეატრი და კინო, და ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

ყველა ამ დარგებს იდეურ ხელმძღვანელობას უწევს პარტ-პოლიტ-განათლების საბჭო.

### პარტ-პოლიტ-მუშაკის კაბინეტი.

კაბინეტის სამუშაო მთავარი ხაზი დაფუძნებულია მასზედ, რომ მოამზადოს ტფილისის გარნიზონის ინდივიდუალურად და კოლექტიურათ სამხედრო პოლიტ-განათლების მუშაკები. კაბინეტი აგროვებს ცდების საშუალებით, ნაწილების ცხოვრებიდან გამოცდილებას და თვითგანვითარების საშუალებით ცდილობს ასწიოს მათი ცოდნის ხარისხი.

საზამთრო სეზონისათვის კაბინეტთან არსდება შემდეგი განყოფილებები და სექციები.

ა) განყოფილებები: 1) რ. კ. პ. და ახ. ლ. კ. კ. 2) პოლიტ-მუშაობა წითელ არმიელებთან. 3) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 4) თვითგანვითარების განყ. 5) სკოლის გარეშე მუშაობის განყ.

ამ განყოფილებების ამოცანებს შეადგენს განუწყვეტლივ გაუწიოს მეთოდიური დახმარება პოლიტხელებს, მასწავლებლებს და სხვებს.

ბ) სექციები: 1) თვითგანვითარების დამხმარე ბიურო. 2) ექსკურსანტების ბიურო. 3) სამხკორთა. 4) პარტაღმშენებლობის.

სექციები იქმნება და მუშაობს ნებაყოფლობით საფუძველზე და ცდილობს პოლიტმუშაკის ცოდნის და განვითარების დონე რაც შეიძლება მაღლა ასწიოს.

პარტპოლიტმუშაკის კაბინეტში აკეთებენ სხვა და სხვა მოხსენებებს მიმდინარე მომენტზე, აგრეთვე მეცნიერულ ხასიათის საუბრებსაც.

იმართება აგრეთვე სასოფლო მეურნეობაზე, მეცნიერება და ტეხნიკასა, მედიცინაზე, მე-XIV პარტკონფერენციის და პარტ-აღმშენებლობის ირგვლივ და სხვა მრავალს.

მოხსენებები ტარდება როგორც რუსულ ისე ქართულ ენებზე.

პარალელურათ ამისა მუშაობა მიმდინარეობს განყოფილებებში და სექციებში.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი დარგია პოლიტმუშაობისა და ჩვენი დივიზიის მუშაკებმა აუცილებლივ უნდა ჩაებან ამ საინტერესო და მათთვის სასარგებლო მუშაობაში.

დაგო.

(დასასრული იქნება).

# ტერნაწილებში

## ამხ. რაჟდენ ცინცაძის ხსოვნას.

14 სექტემბერს პირველი ქალაქის საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე მეორე საარტილერიო ლეგიონის ტერარმიელი ამხ. რაჟდენ ცინცაძე.

18 სექტემბერს მეორე საველე ბატარეია მთელი შემადგენლობით გაემართა საავადმყოფოსაკენ, რომ უკანასკნელად პატივი ეცათ ამხანაგის ცხედრისათვის და მიეცილებიათ სადგურამდე. კუბო მოვაწყვეთ ზარბაზნებზე და ისე მივიტანეთ სადგურამდე. აქ მრავალი ამხანაგები გამოესალმენ ამხანაგს სიტყვებით. ბოლოს ამხ. კვაჭაძემ წაიკითხა წითელ არმიელების მიერ შედგენილი სიტყვა ამხანაგისადმი, რომლებიც გულდათუთქული დასტირიან ამხანაგს,

ამხ. ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება მისი ამხანაგების შორის.

**ვლ. ნავრუზაშვილი.**

## ხშირათ ასეთი საღამოები.

**6-სე ლეგიონი.**

22 სექტემბერს ლეგიონის საკავშირო და საკომენდანტო ოცეულები მიგვიწვიეს ამავე ლეგიონის სკოლის მიერ გამართულ საღამოზე. ოცეულები გავემართეთ აღნიშნულ ადგილისაკენ მხიარული ყიჟინით. მიუახლოვდით ბანაკის ეზოს, რომელიც გაჩირაღდნებული იყო.

ბანაკიდან მოისმოდა სხვა და სხვა სიმღერები და სამხედრო მუსიკის გუგუნი. ჩვენც შამოვსძახეთ მხედრული და შევერიეთ ამხანაგებში.

აქვე გამოგვიცხადა მხლებელმა მეთაურმა, რომ საღამოს დასრულების შემდეგ შევკრებილიყავით ამავე ადგილზე.

გაიმართა საღამო—მეტად შინაარსიანი იყო სპორტიული შეჯიბრება და მრავალი სხვა.

ბოლოს დაიწყო საღამოც წარმოდგენით. იმღერა წითელ არმიელებისაგან შემდგარმა მომღერალთა გუნდმა.

საერთოდ საღამოთი ძლიერ კმაყოფილი დარჩა დამსწრე საზოგადოება და მხიარულად გავეშურეთ სადგომ ბინებისაკენ.

**რ—ქორი.**

## მოგვაცილეთ ხატები.

**5-თე ლეგიონი.**

რომ ჩვენი ბიბლიოთეკა დაგვეახლოვებია წითელი არმიელებისათვის, ის გადავიტანეთ ყოფილ ეკლესიის შენობაში, რადგან სხვა ბინა ვერ ვიშოვეთ.

ბიბლიოთეკა კარგად მოვაწყვეთ, მაგრამ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ეკლესიის კედლებზე კიდევ არის გამოხატული ანგელოზებისა და ღმერთების ხატები. შამოვლენ თუ არა არმიელები ბიბლიოთეკაში ეს ხატები უნებურად იქცევენ მათ ყურადღებას და ბევრს არ მოსწონს მათი ბიბლიოთეკაში არსებობა.

საჭიროა დროზე მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება და ბიბლიოთეკიდან მოგვაცილონ ხატები.

**სამხკორი ო—26.**

## სასადილო არ გვივარგა.

**6-ე ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში დაარსებულია მეთაურთა სასადილო, რომელშიდაც ჯერ კიდევ ბანაკად გასვლამდე იყო აუტანელი უსუფთაობა, ხოლო ბანაკში გასვლის შემდეგ ამ მხრივ უარესი მდგომარეობა შეიქმნა. სასადილოში დანიშნული არიან ერთი წითელ-არმიელი და ვილაც პატარა ბიჭი, რომლებიც სრულიად არ იცავენ სისუფთავეს და თვითნებობენ. სასადილოს გამგე ამხ. ბერიაშვილს ჯერ არც კი შეუხედია შიგ, რომ გაეგო მისი მდგომარეობა. თუ სადმე ძაღლები მოიპება ღამღამობით ყველა აქ იყრიან თავს და სვრიან მაგიდებსა და სხვა.

დროა ლეგიონის მესვეურები სათანადო ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას და მისცენ წინადადება სასადილოს გამგეს ბოლო მოუღოს სასადილოში უსუფთაობას.

**კოსტა.**

## კურსანტები მე-5 ლეგიონში.

4 სექტემბერს მეთაურთა სამხედრო სკოლის კურსანტები მოევლინენ ლეგიონის ყაზარმებს, სამხედრო საქმეში პრაქტიკულ გამოცდილებათა მიღების მიზნით. ყაზარმაში მოსვლისათანავე კურსანტები გაეცვნენ ტერ-არმიელებს და დანაწილებულ იქნენ სხვა და სხვა ასეულებში.

აქედან დაწყებული კურსანტები ენერგიულად შეუდგენ მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ არმიელების მომზადების საქმეში. არა თუ სამეცადინო საათებში, არამედ თავისუფალ დროსაც არმიელებთან იმყოფებიან ვეს ამხანაგები და ატარებენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს. ტერ-არმიელებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან საჭირბოროტო საკითხების გარშემო გამართულ საუბრებს და ათასგვარი შეკითხვების მიცემით უფრო ცხოველ ხასიათს აძლევენ მას.

**კურს. შ. ხეთელი.**

# შვებულთა გაცილება

## როგორ გავაცილეთ სოფლათ შვებულებაში მიმავალი არმიელები.

**პირველი ლეგიონი.**

22 სექტემბერს პირველი ლეგიონის მე-4 ასეულიდან გრძელვადიან შვებულებაში გაშვებული იქნენ 33 წითელ-არმიელი. ამხანაგები საკმაო ცოდნით დატვირთული გაეშურენ თავიანთ სოფლებისაკენ, სადაც ისინი შეიტანენ განათლების შუქს.

გაშვების წინ ყველა არმიელები დასაჩუქრებული იქნენ სხვა და სხვა—სოფელში გამოსადეგი შინაარსის წიგნებით. არმიელებს მიეცათ სხვა და სხვა დავალებები, რომლებმაც ფიცი დასდეს პირნათლად შეასრულონ ყველაფერი.

საღამოს, მუსიკის თანხლებით, ამხანაგები მივაცილეთ სადგურამდე, სადაც ერთხელ კიდევ გავახსენეთ ამხანაგებს თავისი მოვალეობა.

ისინი დაგვცილდენ და თან გვპირდებოდენ, რომ არ გასწყვეტენ ჩვენთან კავშირს, რომ საჭიროების დროს შესაფერ პასუხს გასცემენ საბჭოთა ხელისუფლების შინაურ და გარეშე მტრებს.

გაუმარჯოს მათ მუშაობას.

**წ. არმ. პ. ორაგველიძე.**

## შვებული არმიელების წერილი დარჩენილებისადმი.

ჩვენ, უვადო შვებულებაში მიმავალი არმიელები მხურვალე სალამს გიძღვნით ყაზარმაში დარჩენილებსა და ახლად გამოწვეულ ამხანაგებს. ამხ. ახალწვეულებო, წითელი ყაზარმა თქვენ სიხარულით შამოგეგებათ, თქვენთვის მას ბევრის მოცემა შეუძლია. თქვენ ის შეგაიარაღებთ იმ ცოდნით, რომელიც აუცილებელი იქნება თქვენი მომავალი ცხოვრებისათვის. იქ თქვენ მიიღებთ პოლიტიკურ ცოდნას, სამხედრო გამოცდილებას და მრავალი სხვა. ჩვენის მხრივ ფიცს ვსდებთ პირნათლად შევასრულოთ ყველა ის, რასაც გვავალებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

ჩვენ ყაზარმაში მიღებულ გამოცდილებას გადავიტანთ სოფლად და მთელი ენერგიით შეუწყობთ ხელს ახალი სოფლის კულტურულ და სამეურნეო აღორძინების საქმეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ ჟამად ყაზარმაში დარჩენილები და ახალწვეულები შეიძენთ საკმაო ცოდნას და მალე მოგვეშველებით სოფლად გამართულ მუშაობაში. ჩვენ არ გავწყვეტთ თქვენთან კავშირს.

გაუმარჯოს თქვენს ყაზარმაში ცხოვრებას და მუშაობას.

შვებული წ. არმ.

**გიორგი აფაქიძე.**

## უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

პროლეტარულ სალამს გიძღვნით
შორეული ქვეყნის ძმებო,
ჩვენ, თქვენთან ვართ ბრძოლის ცეცხლში
განუყრელო მეგობრებო.
გაეცანით ჩვენს ცხოვრებას
შეითვისეთ ჩვენი სახე,
გადიტანეთ ევროპაში
და იქ მუშებს უკარნახეთ;
რომ გაიგონ თუ ვინა ვართ
და თქვენთან რა გვაკავშირებს,
რა სურვილი ამოძრავებს
კომინტერნის უძლევ გმირებს.
იქ თუ გვხვრეტენ-გვექადიან
ავრცელებენ ათას ჭორებს,
ამაოა, მათი ცდები
ერთმანეთს ვერ დაგვაშორებს.
ჩვენ, თქვენთან ვართ, და თქვენ ჩვენთან
დიად მარქსის ზეგავლენით,
მან გვასწავლა ყველა ის, რაც
ხანგრძლივ ბრძოლით აქ შევქენით.
პროლეტარულ სალამს გიძღვნით
შორეული ქვეყნის ძმებო,
ჩვენ თქვენთან ვართ ბრძოლის ცეცხლში
განუყრელო მეგობრებო.

**წ. არმ. შუტუ.**

## ჩვენი სკოლა.

**პირველი საარტილერიო ლეგიონის სკოლა.**

ჩვენს სკოლაში მეცადინეობა უკვე დამთავრდა. 25 სექტემბრიდან კი იწყება გამოცდები. კურსანტები თითო კვირით იქნენ განთავისუფლებული განვლილი საგნების გადასამეორებლად და გამოცდებისათვის მოსამზადებლად. პირველი ოქტომბრიდან სკოლა იშლება და მომზადებული კურსანტები დაუბრუნდებიან თავიანთ ნაწილებს—ბატარეიებს უნცროს მეთაურებად.

მეცადინეობის მთელი დროის განმავლობაში ბევრი რამ შევიძინეთ; რამოდენიმე ახლად შემოსული კურსანტი თუ მოიკოჭლებს, თორემ სხვები კარგად არიან მომზადებული. ისინიც რაც შეიძლება არ იშურებენ ენერგიას გაუსწორდენ სხვა ამხანაგებს ცოდნით. ისინი ხშირად ეკითხებიან სხვა მცოდნე ამხანაგებს და ასე ავსებენ თავის ცოდნას.

საერთოდ გამოცდებისათვის ძლიერ გულმოდგინეთ ვემზადებით და იმედიც გვაქვს არ გავამტყუნებთ ჩვენი უფროსებისა და მასწავლებლების იმედებს.

**სამხკორი შ. ბ—ძე.**

## მოგვეცით ლენინის კუთხე.

**1-ლ საარტ. ლეგ. 3-მე ბატარეია.**

ბატარეიაში არ არის მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს წითელ-არმიელებისათვის. ჩვენი წითელი კუთხის გამგე კი არავითარ ზომებს არ ღებულობს განწესებაში არ გადის და თითქმის განთავისუფლებულია სხვა ვალდებულებებისაგან. ნუ თუ ამის შემდეგ ვერ იშოვა საკმაო დრო, რომ მოეწყო კუთხე?

ამხანაგმა კარგად უნდა იცოდეს თუ რამდენად აუცილებელია ჩვენთვის ლენინის კუთხე.

საჭიროა ბატარეიის ხელმძღვანელებმა მაინც მიაქციონ ამ მოვლენას ყურადღება და მოგვიწყონ ლენინის კუთხე. წიგნები ბლომად მოგვეპოება ბიბლიოთეკაში და ადვილად შეგვეძლება მათი გამოყენება.

**სამხკორი ძირულელი.**

## სანიტარი ასეთიც უნდა!?

**ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალი.**

ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიულ განყოფილებაში 6 სექტემბერს ერთ არა სასურველ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

წ. არმ. ამხ. ცხოვრებაშვილმა, რომელიც ძლიერ დასუსტებულია ბრმა წელის ავადმყოფობით და არ შეუძლია გავლა, სანიტარპონჩენკოვს მოსთხოვა დასალევად წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ სანიტარი ისედაც ვალდებული იყო ამ საქმეზე, წითელ არმიელს თხოვნა არ შეუსრულა. გულ შეწუხებულმა ამხანაგმა ხელ ახლა მიმართა მას თხოვნით, მაგრამ წყლის მაგიერ პონჩეკოვმა რამოდენიმე ღონიერი მუშტი წასთავაზა არმიელს კისერში. რას გავს ეს? ნუ თუ უნდა ეპატიოს სანიტარს ასეთი საქციელი?

საჭიროა საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას თორემ ვინ იცის სხვებსაც რას დამართებს გათავხედებული სანიტარი.

**სამხკორი მოსიყვარულე.**

## ჩვენი საკავშირო კომისიის მუშაობა.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

ბანაკად გასვლისას საკავშირო კომისია შეუდგა თავის საზაფხულო გეგმის განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა დაჭერილ იქნა კავშირი ბანაკად მდგომ სამხედრო ნაწილებთან. კავშირი გამოიხატა ერთმანეთის სტუმრობაში ურთიერთ მუშაობის, მეცადინეობის და შინაურ ცხოვრების გაცნობაში. ხშირად ვაწყობდით ექსკურსიებს სხვა და სხვა სოფლებში, ვატარებდით ერთად სხვა და სხვა კამპანიებს.

ვესწრებოდით საღამოებს, წარმოდგენებს.

კურსანტებს და წითელ არმიელთა შორის განწყობილება იყო მეგობრული.

კომისიამ დაიჭირა კავშირი ადგილობრივ პროფკავშირებთან. მუშები და მოსამსახურენი სიხარულით შეეგებნენ ამ კავშირს, მოდიოდნენ ჩვენთან, ათვალიერებდნენ ბანაკს, ეცნობოდნენ ჩვენ ცხოვრებას, მეცადინეობას.

ჩვენც დავდიოდით მათ სამუშაო ბინებზედ, ვმართავდით ჭაასს სხვა და სხვა საკითხებზედ, ვიწვევდით ჩვენს საერთო კრებებზე, რომლებზედაც მოხსენებებს აკეთებდნენ სხვა და სხვა კავშირის მდივნები.

წერილობითი კავშირი გვქონდა სომხეთის და აზერბეიჯანის პოლიტსკოლებთან და რეგულიარულად მიმდინარეობდა მიწერ-მოწერა.

წერილებს ვაქვეყნებდით ჩვენს კედლის გაზეთში.

ვაწარმოებდით კულტურულ მუშაობას საშეფო სოფელ დიდ-თონეთში.

ვაწვდიდით ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ვმართავდით წარმოდგენებს, პოლიტ-ანკესს და სხვა.

მატერიალური დახმარების აღმოჩენის მიზნით კომისიამ გამართა ფასიანი საღამოები. შემოსული თანხა მოვახმარეთ სოფლისათვის საჭირო ლიტერატურის შეძენას.

კომისია ფიქრობს ზამთარშიაც არ გაწვიტოს კავშირი სოფელთან და აღმოუჩინოს აქედან ყოველ-გვარი დახმარება.

**ი—ა.**

# უცხოეთის არმიებში

### იტალიის ფლოტის მანევრები.

იტალიის საზღვაო ფლოტის მიერ [გამართულ მანევრებიდან ორი საზღვაო ძალა დაიღუპა.

კრეისერი „ბარი“ დაეტაკა ნაპირს პალერმოს ახლოს. მანევრების მეორე მსხვერპლია წყალქვეშა ნავი „სებასტიანე ვინერო“, რომელიც ჩაძირული იქნა პასახოს კონცხთან. ნავი ჩაიძირა გამოურკვეველი მიზეზებით. მის უფროსად იყო ძველი გამოცდილი მეზღვაური. მანევრების დამთავრების შემდეგ, როდესაც იტალიის მთელი საზღვაო ძალები უნდა შეგროვილიყო სირაკუზ-აგოსტასთან, აღნიშნული წყალქვეშა ნავი არ გამოჩნდა. მის საძებრად გაგზავნილი იქნენ, ჰაეროპლანები, დირიჟაბლები, ნაღმოსნები და კრეისერები, რომლებმაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ ზემოთ აღნიშნულ კონცხთან შეამჩნიეს წყლის ზედაპირზე ნავთის წვეთები და წყლის სიღრმიდან ამომავალი ჰაერის ბუშტები. სათანადო ძიებამ გამოარკვია, რომ ნავი იმყოფება 50 საჟენის სიმაღლეზე—ზღვის ძირზე თავდაყირა.

დაღუპვის მიზეზები ჯერაც არ გამოურკვევიათ.

ეს ნავი ეკუთვნის კარგი ხარისხის ნავების რიცხვს, რომელიც აშენებული იქნა მსოფლიო ომის შემდეგ. მისი წყალტევა უდრიდა 740/925 ტონს. ეკიპაჟი—50 კაცი.

კრეისერი ბარი კი ხვდა იტალიას გერმანიის ფლოტის ნაწილებიდან, სადაც მას უწოდებდენ „პაცაუს“. ეს კრეისერი რუსეთიდან ჩაიგდო თავის მხრივ ხელში გერმანიამ მსოფლიო ომის გამოცხადების დღეებში. რუსეთის ფლოტში ის ატარებდა „მურავიოვ-ამურსკის“ სახელს.

# ამბები სოფლებიდან

**საქსოვი ქარხანა ბოზნევში.**

ბოზნევის სათემო აღმასკომმა გორ. მ. დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე ადგილობრივ საქსოვი ქარხნის გასახსნელათ საქსოვი მანქანების მიცემის შესახებ.

**ქოხ-სამკითხველოს შენობა.**

სოფ. ბოზნევში, გლეხების ყრილობის გადაწყვეტილებით დადგენილია აშენდეს ქოხსამკითხველოს შენობა დეკემბრის დამლევამდე.

**ტელეფონის გაყვანა.**

სოფ. ხცისის თემაღმასკომმა სთხოვა გორის სამაზრო აღმასკომს დახმარება ადგილობრივ ტელეფონის ხაზის გასაყვანათ.

**საფერშლო პუნქტი.**

სოფ. ალასტანში (ახალქალაქის მაზრა) სამაზრო აღმასკომი ხსნის საფერშლო პუნქტს.

**საექიმო პუნქტი.**

საქართველოს წითელი ჯვრის კომიტეტმა შორაპნის მაზრაში გახსნა ახალი საექიმო პუნქტი.

**სოფ. ზეკარში.**

ქუთაისის აღმასკომმა სოფ. ზეკარში დაარსა საგლეხო ბიუჯეტის გამომრკვევი პუნქტი.

**ტრაქტორი გლეხებისათვის.**

გომის სათემო აღმასკომმა (გორ. მ.) დაადგინა შეიძინოს ერთი ტრაქტორი.

**კოოპერატივის გახსნა.**

სოფ. ტირძნისში (გორის მაზრა) მეჯვრისხევის კოოპერატივი ხსნის თავის განყოფილებას, თანახმათ სოფლის შუამდგომლობისა.

**სახარაზოს სახელოსნო.**

ხაშურის აღმასკომი ხსნის ახალ სახარაზო სახელოსნოს.

**ტელეფონის გაყვანა.**

დიცის თემაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გორის სამაზრო აღმასკომის წინაშე ტელეფონის ხაზის გაყვანის შესახებ.

**სათესი მანქანებით სარგებლობა.**

გომის თემაღმასკომმა გადასწყვიტა თვითონ ითავოს გამქირავებელი პუნქტებიდან სათესლე მანქანების ქირაობა გლეხებისათვის.

**მოძრავი კინო.**

ქუთაისის მაზრაში მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობდა მოძრავი კინო. გლეხებს უფასოთ უჩვენებდენ სურათებს.

**სკოლისთვის.**

აჭარის პედაგოგიურ ინსტიტუტისთვის აჭარის სახკომსაბჭომ შეიძინა კინო აპარატი.

# ახალი ამბები.

— სამხედრო კონცერტი. შევბულ წითელ არმიელთა გასაცილებლათ, ტფილისში, სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართება დიდი კონცერტი ყველა სამხედრო სასულე ორკესტრების მონაწილეობით.

— დასასვენებელი დღეები სოფლათ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა და შრომის კომისარიატმა სოფლათ მომუშავე მუშა-მოსამსახურეების დასასვენებელ დღეთ შემოიღო ორშაბათი.

— ქუჩების განათლება. დამთავრდა ქუჩების განათების ახალი პროექტის შემუშავება.

— დახმარება სულით ავათმყოფებს. ჯანსახკომის ცნობით საქ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა სულით ავათმყოფთა დამხმარე საზოგადოების წესდება.

— შავი ქვის ამოღება. აგვისტოს განმავლობაში ჭიათურის მაღაროებიდან ამოღებულ იქნა 2.013.277 ფუთი შავი ქვა.

— საპნის მრეწველობა. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ქარხნებმა აგვისტოში დაამზადეს 63.135 მანეთის საპონი.

— კარტოფილი. წარმოკავშირი შეუდგა ახალციხის მაზრაში ტფილისის საჭიროებისათვის, 50 ათასი ფუთი კარტოფილის დამზადებას.

— ვაშლი. წარმოკავშირი გორის მაზრაში ამზადებს 100 ათას ფუთ ვაშლს მოსკოვში და სხვა ქალაქებში გასატანათ.

— რკინის გზების ერთი საუკუნე. ა. კ. რკინის გზათა სამმართველო შეუდგა, ინგლისში სტეფანსონის მიერ რკინისგზის გაყვანის ერთი საუკუნის თავის დღესასწაულისათვის მზადებას.

— ტფილისის აღმასკომი სამხედრო სექციის საჭიროებისათვის მომავალი ხარჯთაღრიცხვით გადასდებს 10.000 მანეთს.

— დეზინფექტორების კურსები. ჯანსახკომმა გადასწყვიტა ახლო ხანში მოაწყოს დეზინფექტორების მოსამზადებელი კურსები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ახალი სეისმიური სადგური.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ლენინგრადის ფიზიკო მათემატიკურ ინსტიტუტში გაიხსნა ახალი სეისმიური სადგური (მიწის ძვრის მაჩვენებელი სადგური). ეს სადგური პირველხარისხოვანია მთელ საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადში არსებული დიდი მოძრაობა გავლენას უნდა ახდენდეს სეისმიურ სადგურზე და ამით ძნელდებოდეს მიწის ძვრით გამოწვეული ნიადაგის გაქანების გამოცნობა, აღნიშნული სეისმიურ სადგურზე ჩვეულებრივ ქალაქში მოძრაობა ვერ მოქმედებს. სადგური მოწყობილი იქნა გამოჩენილ სეისმოლოგის ნიკიფოროვის ხელმძღვანელობით.

**სიყრუისაგან განკურნვა.**

ამერიკის სამედიცინო საზოგადოებაში ექიმ დურიმ განაცხადა, რომ ყრუების მორჩენა სავსებით შესაძლებელია ფარისებური ჯირკვალის მოქმედების და სხვა შინაგან სეკრეციის ჯირკვლების აღდგენით.

ექიმი ამტკიცებს, რომ სიყრუით დაავადმყოფებულ პაციენტების განხილვის დროს 50 პროც. მეტს აღმოაჩნდათ, რომ მათი შინაგან სეკრეციის ჯირკვლები ვერ მუშაობენ წესიერად, რაც ძლიერ ადვილი აღსადგენიაო.

**ძველი ქ. ოლვია.**

ექსკურსიამ, რომელიც მოწყობილი იყო ისტორიის და მატერიალური კულტურის აკადემიის მიერ, მოახდინა ძველი ოლვიის გათხრა (ოლვია ხერსონის მახლობლადაა). მუშაობა სწარმოებდა 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ძველი ქალაქის უმაღლეს ადგილებზე, სანიშნო კოშკის მახლობლად. გათხრას ქონდა ძიების ხასიათი, ძველი მოსახლეობის ადგილისა და კედლების მიმართულების გამორკვევა. მუშაობის დროს წააწყდენ ქვაფენილს (წვრილი ქვებიდან).

ამოთხრილ მიწის ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი კრამიტები, ძველი კლასიკური თიხისგან დამზადებული ჭურჭლები სხვა და სხვა გვარი მხატვრობით და სხვ.

აღმოჩენილი იქნა აგრეთვე სამი საინტერესო საფლავი. ერთი როგორც სჩანს ბავშვისაა, მეორე ქალის უნდა იყოს. ჩონჩხი მოღუნულია და თავის ქვეშ უდევს ამფორში გახვეული ბავშვის ძვლები.

მესამე საფლავი მეტად საინტერესოა. მასში მოთავსებულია მეომრის ჩონჩხი, როგორც სჩანს ჭრილობისაგან გაშეშებული უნდა იყოს, რადგან მის გვერდით აწყვია ექვსი ისარი, ამასთანავე ორი ისარი კისერზეა აქვს, ერთი ფერდებს შუა გულის მახლობლად და დანარჩენი კი მხრებზე და მუხლებზე. ჩონჩხი ძევს მოღუნული მუხლებით.

როგორც სჩანს მეომარი მუხლებზე იდგა, უშვებდა ისრებს და ამ დროს მოკლულ იქმნა. ასეთ მდგომარეობაში ის გაცივდა და იქნა დასაფლავებული.

ყველა ნაშთები გადაგზავნილი იქნა ქ. ნიკოლაევის მუზეუმში. მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ აკადემიის თანამშრომლების გარდა ოდესის და ნიკოლაევის მუზეუმების თანამშრომლები.

# პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** გთხოვთ მიპასუხოთ მომეცემა თუ არა უვადო შვებულებაში წასვლის დროს მაზარა?

წ. არ. **ჯავახიშვილი**

**პასუხი.** მოგეცემათ ტარების ვადა გასული მაზარა.

**კითხვა.** ვარ სამხედრო პოლიტ სკოლის კურსანტი. დედა მყავს 55 წლის. გთხოვთ მიპასუხოთ, შეიძლება თუ არა ჩაირიცხოს ულუფაზე, როგორც ჩემი სარჩენი?

კურსანტი **მ. ვაშნაძე.**

**პასუხი.** დედას ეკუთვნის იმ შემთხვევაში თუ მას შეუსრულდა 60 წელი.

**კითხვა.** გაზაფხულის ტანისამოსი არ მიმიღია, ვინაიდან ამ დროს იქ არ ვიყავი. გთხოვთ მიპასუხოთ, მერგება თუ არა ტანსაცმელი?

1-ლ ლეგ. წ. არმ. ა. **ჩამაზაშვილი.**

**პასუხი.** გერგებათ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ტანსაცმელი დახეულია.

**კითხვა.** გთხოვთ მიპასუხოდ, უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელს მიეცემა თუ არა ის მაზარა, რომელიც მას აცვია და მიღებული აქვს 1924 წლის ივნისის თვეში?

წ. არმ. **ქედელი.**

**პასუხი.** თუ ნაწილს არ აქვს ტარების ვადა გასული მაზარა, იმ შემთხვევაში მოგეცემათ ის, რაც გაცვიათ.

**ტერ. არმიელ შამუგიას.** გვაცნობეთ როდის ხართ გამოწვეული და შემდეგ მიიღებთ პასუხს თქვენს შეკითხვაზე.

**კითხვა.** მე ვარ ახალწვეული. ორი თვეა ვარ გატარებული ბრძანებაში ასეულის მეკუჭნავედ. მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი და რომელი თვიდან?

მე-3 ლეგ. წ. არმ. ა—ი.

**პასუხი.** წ. არმიელები მიღებული სამხედრო სამსახურში მე-2 ხარისხის და ზევით თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ სამი თვის სამსახურის შემდეგ. (ბრძანება რ. ს. ს. ს. № 497)

**კითხვა.** ერთი თვეზე მეტია ვმსახურებ ასეულის გადამწერათ. ბრძანებაში ვარ გატარებული. მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი 1 მან. 20 კ. მეტი თუ არა?

წ. არმიელი **მ.**

**პასუხი.** ჯამაგირი გეკუთვნით იმდენი, რამდენიც გათვალისწინებულია შტატით ასეულის გადამწერისათვის.

**კითხვა.** როდის გაუშვებენ 1902 წელში დაბადებულთ 1925 წლის მაისში გამოწვეულებს და შეიძლება თუ არა ტერ ნაწილში გადარიცხვა.

წ.-ა. **ბიწკინაშვილი.**

**პასუხი.** მაშინ, როდესაც დაითხოვენ უვადო შვებულებაში 1924 წლის შემოდგომაზე გამოწვეულებს.

ნაწილიდან ნაწილში გადასვლა არ შეიძლება.

**კითხვა.** როგორც ოჯახის მარჩენალს გამანთავისუფლებენ თუ არა პირველ რიგში მიმდინარე გაშვებისა.

წ.-ა. **ციხელაშვილი მუხლელი.**

**პასუხი.** არა. ვინაიდან თქვენ მსახურებთ ტერიტორიალურ ნაწილში—განთავისუფლდებით საერთო წესით მეორე რიგში.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ჯ—ის.** (4-ხე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „საერთო ტერშეკრება ჩვენთან“ არ დაიბეჭდება, რადგან ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. თეთრაძეს** (1-ლი ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია „მთავარ სახელოსნოში“ არ დაიბეჭდება. ასეთი გავიდა ჩვენს გაზეთში თქვენი ნაწილიდან.

**ამხ. გაუბიცის სამხკორს** (2-რე არტლეგ.) წერილი „ლოთობის დროს უნდა დაიძინოთ“ გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. დ. ჰ—ლს.** ოქვენი წერილი „სულის მამების კონგრესი“ არ გამოდგა.

**ამხ. იო მაისაიას.** (1-ლი ლეგ.) წერილი მთავარ სახელოსნოში ექსკურსიის შესახებ არ გავა.

**ამხ. ბოკს.** (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი სემინარების შესახებ არ გავა, რადგანაც მის შესახებ იყო წერილი. კარგი იქნება თუ მოგვაწვდი, როგორი შედეგები მოიტანა შვებულთა მასში მეცადინეობამ.

# განცხადებები


## წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში.

დღეს, წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში გაიმართება არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდის სასარგებლოთ

**დ ი დ ი  ს ა ღ ა მ ო.**

რევოლიუციონურ-ექსპერიმენტალურ თეატრის სახელოსნოს ძალებით.

საღამოზე სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ვაინერი.

ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი

**დაიკარგა** ქუთაისის 2-რე ტეხნიკუმიდან მოცემული სიმწიფის მოწმობა №551 და კომპარტიის კანდიდატობის ბილეთი №18 ერისტო გერასიმესძე ტყაბლაძის სახელზე.

ჩაითვალოს გაუქმებულად.


პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც.  სამხედრო სტამბა  კეცხოველის ქ. № 8.